სოციალური მუშაკების საჭიროებების კვლევა კოვიდ-19-ის პირობებში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

2020

აპრილი, 2020 წელი,

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

სოციალური მუშაკების საჭიროებების კვლევა კოვიდ-19-ის პირობებში

მცირე მოკვლევა ჩატარდა პრაქტიკოს სოცილიალურ მუშაკებთან. მოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 25 - მა პროფესიონალმა სხვადასხვა სფეროდან. პრობლემებზე დაფუძნებით გაიწერა რჩევა/რეკომენდაციები უწყებებისთვის.აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს როგორც კვლევის შედეგებს (პუნქტებად), ასევე, პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

კოვიდ-19-ის ინფექციის გავრცელება დიდი გამოწვევაა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნებისთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც. ამ პირობებში სრულიად იცვლება ყველას ცხოვრების რიტმი და წესი. ადგილობრივი და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მითითებების მიხედვით, ფიზიკური იზოლაცია, სახლში დარჩენა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტური მექანიზმია ვირუსის გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

ამ ვითარებაში იკვეთება სოციალური მუშაკების განსაკუთრებული როლი - იდგნენ როგორც თავიანთი, ასევე მათი მომსახურების მიმღებთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის სადარაჯოზე. სოციალური მუშაკები იმ პროფესიონალთა რიცხვში არიან, რომლებიც პანდემიის პირობებშიც კი არ წყვეტენ მუშაობას. ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სოციალური მუშაკები ონლაინ და დისტანციურ რეჟიმში დღემდე აგრძელებენ მუშაობას. ეს თავისთავად გამოწვევაა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისთვის, რადგან მას ეზღუდება ბენეფიციარებთან პირისპირ კონტაქტის დამყარებისა და ინტერვიუს ჩატარების შესაძლებლობა, ვინაიდან შეუძლებელია ოჯახში ვიზიტი ან დასაქმების ადგილზე მომსახურების მიმღებთან შეხვედრა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.

თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ის გამოწვევები, რომლებსაც სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფი შეეჩეხება იზოლაციის პერიოდში. მნიშვნელოვანია, უწყებების მიერ გააზრებულ იქნას მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებები და თითოეული უწყების მიერ სასწრაფოდ შეიქმნას სამოქმედო გეგმები, რათა პანდემიის და სულ უფრო გამკაცრებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში მათმა მიღებულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო არ გაურთულოს მდგომარეობა აღნიშნულ ჯგუფებს.
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე ჩაატარა მოკვლევა და გამოკვეთა ის ორი მთავარი საერთო პრობლემური საკითხი, რომლებსაც სოციალური მუშაკები და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები აწყდებიან ყოველდღიურ საქმიანობაში:

- პრაქტიკული გაიდლაინების და სამოქმედო გეგმის არარსებობა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფებთან (მაგ: ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები და ა.შ.) ონლაინ რეჟიმში მუშაობის მიმართულებით.
- სარეაბილიტაციო მომსახურებების/პროგრამების დროებით შეჩერება, როგორც მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების, ისე თავად სოციალური მუშაკების მხრიდან.
- პროფესიული გადაწვის რისკი, ვინაიდან პირად სტრესსა და შფოთვას ემატება გაძლიერებული შფოთვა, რომელიც სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება (ბენეფიციართა გაუარესებული მდგომარეობა; საკუთარი უმწეობის განცდა, ვინაიდან შეზღუდვების გამო სათანადო დახმარებას ვერ აწვდის საჭიროების მქონე პირს; უსაფრთხოების ზომებზე ზრუნვა; დაინფიცირების შიში და ა.შ.). ამიტომ მნიშვნელოვანია დავიცვათ პროფესიონალები, რომელთა მხარდაჭერაც პანდემიის მიმდინარეობისასაც და შემდეგაც ბევრ ადამიანს სჭირდება.

უფრო ინტენსიური სუპერვიზიის საჭიროება, ვინაიდან დისტანციური მუშაობა სრულიად ცვლის სოციალური მუშაკის ჩვეულ სამუშაო რეჟიმს და ხელიდან აცლის მთავარ სამუშაო ინსტრუმენტებს. შესაბამისად, მას სჭირდება დამატებითი ტექნიკების დასწავლა და მხარდაჭერა, რათა ამ მძიმე პერიოდში შეცვლილი პასუხისმგებლობების წინაშე მარტო არ დარჩნენ.
გარდა ამისა, გამოიკვეთა სპეციფიკური პრობლემური საკითხები მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ უწევთ ველზე მუშაობა მათი მანდატიდან გამომდინარე. კერძოდ, მათი წუხილი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

1. **ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის პრობლემა**: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო შეზღუდულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება, სოციალურ მუშაკებს გადაუდებელ შემთხვევებზე ვიზიტი მაინც უწევთ და, ძირითადად, საკუთარი ხარჯებით გადაადგილდებიან. **მნიშვნელოვანია, უწყებამ უზრუნველყოს ისინი უსაფრთხო გადაადგილების საშუალებით როგორც სახლიდან სამსახურში, ისე ვიზიტებზე.**
2. **წვდომის შეზღუდვა ელექტრონულ სამუშაო ბაზებსა და პროგრამებზე:** მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად, სოციალური მუშაკები სამსახურში ცხადდებიან მორიგეობით, თუმცა ამ სქემას ვერ იცავენ, რადგან სახლიდან არ აქვთ დოკუმენტთა ელექტრონული ბრუნვის სისტემაში დისტანციურად მუშაობის საშუალება და ბაზებთან წვდომა, რაც აუცილებელია შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად. **აუცილებელია, უწყებამ უზრუნველყოს სოციალურ მუშაკთა სახლიდან შეუფერხებლად მუშაობა და დოკუმენტაციის წარმოება სამსახურში მიუსვლელად**.

3. **სახლიდან მუშაობასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები:** სახლიდან მუშაობა მოითხოვს კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამების მოხმარების სპეციფიკურ ცოდნას, რომელიც ყველა სოციალურ მუშაკს შეიძლება არ გააჩნდეს. ონლაინ ჩართვები კონსულტირებისა თუ სხვა უწყებებთან კომუნიკაციის მიზნით არ უნდა შეფერხდეს აღნიშნული ცოდნის არქონის გამო. **ამიტომ მნიშვნელოვანია უწყების მიერ ტექნიკური პერსონალის მხარდაჭერის უზრუნველყოფა სახლიდან მუშაობის რეჟიმში.**
4. **განცხადების მიღება:** სოციალური მუშაკები ჯერ კიდევ ფიზიკურად იღებენ განცხადებებს ახალ შემთხვევებზე, რაც არსებული ფიზიკური დისტანციის დაცვის რეკომენდაციის პირობებში მათი უსაფრთხოების სერიოზული დარღვევაა. **უწყებამ უნდა შეძლოს ალტერნატიული გზების მოძიება განცხადების მისაღებად,** რათა სოციალური მუშაკი სამუშაო ადგილზე არ დადგეს ინფიცირების ან ინფექციის გადაცემის რისკის ქვეშ.
5. **ბიუროკრატიული შეზღუდვები:** აღმოჩნდა, რომ სოციალურ მუშაკებს ამ რეჟიმშიც კი უწევთ სხვადასხვა ბიუროკრატიულ საკითხებთან შებმა, რაც ხელს უშლის მათ მოქნილობაში, არადა ამ საგანგებო მდგომარეობის ჟამს, პროფესიონალთა მოქნილობა და სწრაფად რეაგირების საშუალება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სამედიცინო დაწესებულებებთან ურთიერთობას. შესაბამისად, **აუცილებელია ბიუროკრატიული ზომების და შუამავალი რგოლების მაქსიმალურად შემცირება და სოციალური მუშაკებისთვის მეტი მოქნილობის მინიჭება**.
6. **მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოების მუშაობა:** როგორც აღვნიშნეთ, საგანგებო პირობებში სოციალური მუშაკის მუშაობის სპეციფიკაც განსხვავდება და ისინი გაზრდილი გამოწვევების წინაშე დგანან. ამ გამოწვევების წინაშე სოციალური მუშაკი მარტო არ უნდა დარჩეს. **ასეთ დროს მნიშვნელოვანია საბჭოს გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა ონლაინ რეჟიმში და სოციალური მუშაკის მაქსიმალური მხარდაჭერა, განსაკუთრებით, საბჭოს იმ წევრებისგან, რომლებიც მომსახურებების მიმწოდებლებს ან ადგილობრივ თვითმმართველობებს წარმოადგენენ**.
7. **სოციალური მუშაკების პროფესიული გაძლიერება კოვიდ 19 -ის პირობებში მუშაობის მხრივ.**
8. **სოციალური მუშაკების დაცვა გადაწვისგან, აქტიური პროფესიული სუპერვიზიის განხორციელება.**

ეს ჩამონათვალი შეიძლება არასრული იყოს, ვინაიდან ეყრდნობა მხოლოდ მოკვლევაში მონაწილე პირების მიერ მოწოდებულ და დამუშავებულ ინფორმაციას. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ დამსაქმებლებმა იქონიონ აქტიური და პირდაპირი კომუნიკაცია სოციალურ მუშაკებთან, მათი საჭიროებების გამოკვეთისა და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. უნდა გვახსოვდეს, რომ პანდემიის პირობებში სოციალური მუშაკები დგანან ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიონალების გვერდით, როგორებიც არიან ექიმები და ფსიქოლოგები, ვინაიდან იბრძვიან ადამიანის ფიზიკური თუ ემოციური გადარჩენისთვის და კეთილდღეობისთვის.

მოკვლევის შედეგების გათვალისწინებით ცალკე მომზადდა მეურვეობა მზრუნველბოს საბჭოს გამართული მუშაობისთვის რეკომენდაციების დოკუმენტი.